საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№12 / 2011

„საკრებულოს საუკეთესო წევრი“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში აჭარის რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტში ჩაატარა კონკურსი – „საკრებულოს საუკეთესო წევრი“. სპეციალურმა კომისიამ საკრებულოს წევრთა საქმიანობა შეისწავლა. საკრებულოს საუკეთესო წევრის გამოვლენის კრიტერიუმი მისი საქმიანობა იყო. ინფორმაციის წყაროს საკრებულოს კომისიების, ბიუროს სხდომის ოქმები, საკრებულოს აპარატში შემოსული და გასული კორესპონდენციები და საკრებულოს წევრის აქტიურობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები წარმოადგენდა.

საკონკურსო კომისიამ შეისწავლა რა აჭარის მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრთა საქმიანობა, ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში გამოავლინა გამარჯვებული. გამარჯვებული ვერ გამოვლინდა ქედის მუნიციპალიტეტში, რადგან წევრთა უმრავლესობამ თანაბარი – 14 ქულა მიიღო.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში „საუკეთესო წევრის“ სტატუსი იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ასლან ხოზრევანიძემ დაიმსახურა. მან ხულოს მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალი – 24 ქულა მიიღო შუახევის მუნიციპალიტეტის „საუკეთესო საკრებულოს წევრი“ 28 ქულით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ჯემალ დიასამიძე გახდა, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტში 26 ქულით აგრარულ საკითხთა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომისიის თავმჯდომარე – რევაზ კარალიძე. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში „საკრებულოს საუკეთესო წევრის“ სტატუსი რიგითმა წევრმა რესპუბლიკური პარტიიდან ავთანდილ ბერიძემ მოიპოვა. იგი ლიდერია მთლიანად აჭარის რეგიონშიც, რადგან ყველაზე მაღალი – 32 ქულა მიიღო.

„საკრებულოს საუკეთესო წევრები“ „ინტელექტმა“ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. ხულოს, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების „საკრებულოს საუკეთესო წევრებს“ პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ, ხოლო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამარჯვებულს – პერსონალური კომპიუტერი და პრინტერი.

ასლან ხოზრევანიძე, „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ ხულოს მუნიციპალიტეტში: „გაოცებული ვარ... ვერც კი წარმომედგინა, რომ ამ კონკურსში გავიმარჯვებდი. მე პირველი მოწვევის საკრებულოს წევრი ვარ და ჩემ გვერდით უფრო სტაჟიანი წევრები მუშაობენ. ამიტომ არ ველოდი, რომ „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ მე ვიქნებოდი.

ჯემალ დიასამიძე, „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ შუახევის მუნიციპალიტეტში: მე მაქსიმუმს ვაკეთებდი ჩემი სამსახურებრივი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე. დარწმუნებული ვარ, კომპეტენტური კომისია სწავლობდა ამ საკითხს. კაცი, რომელიც შრომობს, ნაყოფსაც ელოდება, მაგრამ არ მეწყინებოდა ეს პრიზი სხვას რომ მიეღო. შრომა როცა გიფასდება, დადებით მუხტს ღებულობ და ახალი ენერგიით ივსები საქმის საკეთებლად“.

რევაზ კარალიძე, „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ ქობულეთის მუნიციპალიტეტში: „მოულოდნელი იყო ეს გამარჯვება. არ ველოდი ასეთ აღიარებას და ძვირფას საჩუქარს... საკრებულოს ყველა წევრს უნდა კარგი საქმე აკეთოს და მაქსიმალურად დაიხარჯოს მოსახლეობისთვის. ახლა მეტი სტიმული მომეცა და მეტი ვალდებულება დამეკისრა, საქმე ვაკეთო ჩემი ხალხისთვის.

ავთანდილ ბერიძე, „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში: დიდი მადლობა „ინტელექტს“, მადლობა იმისთვის კი არა, რომ „საკრებულოს საუკეთესო წევრად“ მაღიარეთ, არამედ მოუკერძოებლობისთვის გიხდით. ამ კონკურსის ჩატარება საკრებულოს წევრების პასუხისმგებლობას გაზრდის და კარგი იქნება სისტემატიური ხასიათი თუ მიეცემა“.

„ინტელექტის“ აღმოჩენა

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“, პროექტის „ჩვენი არჩევანი — რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში ჩაატარა რეგიონალური კონკურსი: „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“, რომლის გამარჯვებულიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თხილნარის თემის მცხოვრები ნანა კაკალაძე გახდა.

პირობითად შეიძლება ითქვას, ნანა კაკალაძე „ინტელექტის“ აღმოჩენაა. იგი პროექტში: „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ თავისი ძმის, მერაბ კაკალაძის ინიციატივით ჩაერთო, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თხილნარის თემში განმანათლებლად მუშაობდა (აჭარის რეგიონის 63 თემში სულ 92 განმანათლებელი მუშაობდა). მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მოქალაქეებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის, ფუნქციებისა და ვალდებულებების გაცნობა იყო, რის საფუძველზეც ამავე პროექტის ფარგლებში მოქალაქეებისთვის ჩატარდა კონკურსი – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“. მერაბ კაკალაძის შრომას რომ უქმად არ ჩაუვლია, სწორედ ამ კონკურსმა დაამტკიცა. ნანა კაკალაძე მუნიციპალურ კონკურსში – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, რისთვისაც ფასიანი საჩუქარი – ციფრული ფოტოაპარატი მიიღო. მოგვიანებით ნანამ მონაწილეობა მიიღო იმავე კონკურსში რეგიონალურ დონეზე და 13 კონკურსანტს შორის ყველაზე მაღალი ქულა დააგროვა. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ იგი პერსონალური კომპიუტერითა და პრინტერით დაასაჩუქრა. ანალოგიური საჩუქარი მიიღო თხილნარის თემის განმანათლებელმა მერაბ კაკალაძემაც.

ნანა კაკალაძე: „მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ძმას, რომ საშუალება მომცა საკუთარი ძალები მომესინჯა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის ცოდნის გამოსავლენად. ასევე დიდი მადლობა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ ჩემი ცოდნა რომ დააფასა და ასეთი ძვირადღირებული საჩუქრები გადმომცა. გარდა ამისა, ამ პროექტში მონაწილეობა კარგი იყო იმითაც, რომ საშუალება მომეცა, საკუთარი შესაძლებლობები მომესინჯა. მივხვდი, თუ მოინდომებ, მიუწვდომელი არაფერია. აქამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებსა და საქმიანობებში არ ვიყავი ჩახედული. ახლა ვიცი, ვის რა მოვალეობა აქვს მოსახლეობის წინაშე და ხალხის რწმუნოს რა ევალება.“

ნანა კაკალაძეს კონკურსი – „მე ვიცნობ ჩემს თვითმმართველობას“ იმითაც დაამახსოვრდა, რომ ამ პერიოდში დაოჯახდა. პირველი პრიზი – ციფრული ფოტოაპარატის გადაცემისას „ინტელექტის“ ნასურვილარი – ცხოვრების ულამაზესი წუთები ამ ფოტოაპარატით აღებეჭდა, ზუსტად აუხდა. პერსონალურმა კომპიუტერმა კი მზითევის როლი შეასრულა.

კაკალაძე მსგავს პროექტებში მონაწილეობას სამომავლოდაც გეგმავს და სხვა მოქალაქეებსაც ურჩევს, თავიანთი ძალები მოსინჯონ. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ კი უსურვებს: „კიდევ ბევრი სასიკეთო პროექტი განხორციელებინოს. დარწმუნებული ვარ ამ ორგანიზაციის შრომა ნაყოფიერი იქნება. „ინტელექტი“ ხომ ხალხის ინტერესების დამცველი ორგანიზაციაა.“

„ერთადერთი ფუნქცია დამრჩა: ვიყო მყეფარე ძაღლი“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ ჩატარებულ კონკურსში – „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ავთანდილ ბერიძემ გაიმარჯვა. მან მთლიანად აჭარის რეგიონში 32 ქულით პირველობა მოიპოვა. ოთხ „საკრებულოს საუკეთესო წევრს“ შორის ავთანდილ ბერიძე ერთადერთია ოპოზიციიდან (იგი რესპუბლიკური პარტიის წევრია).

ავთანდილ ბერიძე უკვე მესამე მოწვევის საკრებულოს წევრია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, პირველად 1990-1991 წლებში აირჩიეს, შემდეგ 2006 წელს და ბოლოს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. თვითმმართველ ორგანოში მუშაობის ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად პირველ მოწვევას მიიჩნევს, ხოლო დღეს მოქმედ საკრებულოს არაუფლებამოსილად თვლის: „აღნიშვნის ღირსია ჩემი საკრებულოში მუშაობის პირველი პერიოდი. ნამდვილი არჩევნები 1990 წელს ჩატარდა. მაშინ „მრგვალმა მაგიდამ“ პატიოსნად გაიმარჯვა. მეთოდები, რომლებიც მან გამოიყენა, შეიძლება ჩემთვის მოუღებელი იყო, მაგრამ არავინ მოუტყუებიათ. მაშინ რესპუბლიკელები ახალშენის თემს ვფლობდით მთლიანად. ეს პერიოდი ძალიან ნაყოფიერი იყო იმითაც, რომ თავისუფლად შეიძლებოდა განსხვავებული აზრის გამოთქმა. ჩემი საკრებულოში მოღვაწეობის მეორე პერიოდი, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ისეთი ხელისუფლებაა დღეს საქართველოში მოსული, რომ მასთან ერთად საქმის კეთება შეუძლებელია. სამწუხაროდ დღევანდელი საკრებულო არ არის არც ერთ საკითხში უფლებამოსილი და თავისუფალი. აქედან გამომდინარე, ძნელია მოღვაწეობაზე რაიმე თქვა. ეს საკრებულო გაცილებით უარესია, ვიდრე წინა მოწვევის საკრებულო. იქ სამი დოქტორი გვყავდა, ახლა ბავშვები არიან. ისინი არავის აურჩევია, ისე დანიშნეს, ზოგისთვის არც კი უკითხავთ, სურდათ თუ არა საკრებულოს წევრობა. მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც ჩემს ძალი—ღონეს აღემატება. ერთადერთი ფუნქცია დამრჩა: ვიყო მყეფარე ძაღლი. ჩვენ იმიტომ ვართ ამ არაუფლებამოსილ საკრებულოში, რომ სათქმელი ვთქვათ. ამისთვის ყოფნაც კი ღირს...

2008 წლის 5 დეკემბერს პრეზიდენტმა დაწერა ბრძანებულება, რომლითაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობას აუკრძალა მინის ნაკვეთების მიღება. ეს იყო დამალული. მე შემთხვევით მოვიძიე და ამის შესახებ 10 დეკემბერს განვაცხადე ტელევიზიით. მე რომ დეპუტატი არ ვყოფილიყავი, მიკროფონთან ვინ მიმიშვებდა? ალბათ ვერც ამ ინფორმაციას მოვიძიებდა... ინფორმირებული რომ იყოს მოსახლეობა, თუ რა საფრთხეების წინაშე დგას ამ ხელისუფლების ხელში, ამისთვის და მოსახლეობის გამოლვიძებისთვის ვართ აქ! ჩვენი ფუნქციაა ბრძოლა, საკრებულოს წევრის საქმიანობით ხელისუფლების წინააღმდეგ! მე ვფიქრობ გამართლებულია, რომ საკრებულოში ვარ. ამ საკრებულოში რომ არ ვიყოთ მე ან სხვა წევრები, რომლებიც ოპოზიციურ აზრს გამოთქვამენ, მაშინ იქნება ერთპარტიული საკრებულო, სადაც, როგორც წესი, არაფერი ხდება“.

პირველი მოწვევის საკრებულოში ავთანდილ ბერიძემ უფლებამოსილება ვადამდე მოიხსნა, რადგან აჭარის უმაღლეს საბჭოში იყარა კენჭი და ხალხმა ამჯერადაც აირჩია. რადგან კანონში იმ დროს შესული ცვლილება არ აძლევდა საშუალებას, ყოფილიყო როგორც უმაღლესი საბჭოს, ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, დადგა არჩევანის წინაშე: საკრებულოში ან უმაღლეს საბჭოში. როგორც თავად ამბობს, „ამომრჩევლის გულის გასახარად, ვარჩიე აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ვყოფილიყავი. მე წავედი, მაგრამ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წევრი მაინც გვყავდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამბობენ, რომ ავთანდილ ბერიძე ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული და აქტიური საკრებულოს წევრია. იგი ყოველი სხდომისთვის ისევე ემზადება, როგორც მოსწავლე სკოლაში ნასასწავლელად. ყველა განსახილველ საკითხს სათანადოდ სწავლობს და როგორც ამბობს, „კომპრომატი ჩემ მიმართ ჯერ ვერ დაიდო.“ სწორედ მისი აქტიურობა გახდა წარმატების საფუძველი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შედგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ ავთანდილ ბერიძე არასოდეს აცდენს სხდომას, ყველა საკითხზე თავისი მოსაზრება გააჩნია, აქტიურად ღებულობს მონაწილეობას პროექტების მომზადებაში, საჭიროების შემთხვევაში აგზავნის მიმართვებს და ღებულობს შემოსულ წერილებსა და კორესპონდენციებს... ეს მაშინ, როცა საკრებულოს წევრთა უმრავლესობა სხდომაზე მხოლოდ ხელის აწევით შემოიფარგლება. შედეგად მივიღეთ ის, რომ მან აჭარის რეგიონში ყველაზე მაღალი – 32 ქულა დააგროვა და „საკრებულოს საუკეთესო წევრის“ სტატუსი დაიმსახურა. თავად ავთანდილ ბერიძეს გაუკვირდა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ „საკრებულოს საუკეთესო წევრად“ რომ დაასახელა. „თქვენ დაამტკიცეთ, რომ მიუკერძოებლები ხართ! ხომ იცით, როგორ ამბობენ არასამთავრობო ორგანიზაციებზე – ან მთავრობისაა, ან ოპოზიციაა.“ „ინტელექტის“ ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა ამ კონკურსმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. რაც თქვენ გააკეთეთ, ამას სხვა ვერ გააკეთებდა! როგორ შეიძლებოდა ავთო ბერიძეს გაემარჯვა, როცა იქ 20 კაცი ელოდა ამ პრიზს? საკმაოდ ბევრს ვმუშაობ და მგონი, დავიმსახურე ეს გამარჯვება“. ავთანდილ ბერიძე სურვილს გამოთქვამს, რომ კონკურსი „საკრებულოს საუკეთესო წევრი“ ყოველწლიურად ჩატარდეს: „გამიხარდება ეს პრიზი სხვამ რომ აიღოს, ანუ მაჯობოს. ამ კონკურსის ჩატარება გაზრდის საკრებულოს წევრების პასუხისმგებლობის გრძნობას. კარგი იქნება, თუ წლის დასაწყისში გაცხადდება კონკურსის შესახებ და გამარჯვებული წლის ბოლოს გამოვლინდება. ამ პერიოდში იმედია ვიღაც იტყვის, რაღა ავთომ მიიღოს საჩუქარი, მე ავიღებო და გააქტიურდეს. ამისთვის საჭიროა მონიტორინგი“. თავად გამარჯვებულს „საკრებულოს საუკეთესო წევრის“ სტატუსი პასუხისმგებლობას უორმაგებს: „უშველებლად მიზრდის ეს წოდება პასუხისმგებლობას... პასუხისმგებლობა ადრეც მქონდა, მაგრამ ახლა ვერ დავუშვებ, რომ რამე შემეშალოს და ვიღაცამ წამომაძახოს... ეს არ უნდა დავუშვა!“

ავთანდილ ბერიძეს გული წყდება, რომ პროექტი „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ მხოლოდ აჭარის მუნიციპალიტეტში განხორციელდა: „თვითმმართველ ქალაქში რომ არ მუშაობთ, ცუდია. ბათუმში ისეთი პროცესები მიდის... აქ მონიტორინგი აუცილებელია“.

თავის დროზე ავთანდილ ბერიძემ ხელი მოაწერა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ შედგენილ „კარგი მმართველობის დეკლარაციას“. იგი წუხს, რომ ხელი ბევრმა მოაწერა, მაგრამ ცოტა ითვალისწინებს დეკლარაციის პრინციპებს: „სამწუხაროდ ისე არ იქცევიან, როგორც თავის დროზე განაცხადეს. მაგრამ მე ის ხელმოწერაც მავალდებულებს. „კარგი მმართველობის დეკლარაციაზე“ ხელის მოწერა თავისთავად გულისხმობს ვალდებულების აღებას, დაიცვა მასში შემავალი პრინციპები. აღებულ ვალდებულებას კი შესრულება უნდა, ამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ დეკლარაციის შექმნა.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ ავთანდილ ბერიძე ყველაზე მოუკერძოებელ არასამთავრობო ორგანიზაციად მიჩნევს და თვლის, რომ დიდ საქმეს აკეთებს: „დარწმუნებული ვარ „ინტელექტის“ მომზადების დონეში და საქმის კეთების სურვილში. თქვენ შეგიძლიათ გაცილებით მეტი აკეთოთ, თუ გექნებათ საკმარისი ფინანსები. თქვენ მოიფიქრეთ და განახორციელეთ ორი უმნიშვნელოვანესი რამ: შეადგინეთ „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ და ჩაატარეთ კონკურსი „საკრებულოს საუკეთესო წევრი“. მსგავსი რამ არავის მოუფიქრებია და მით უმეტეს, არ გაუკეთებია. ვისურვებ დიდხანს იარსებოს ამ ორგანიზაციამ და ბევრი პროექტი განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის“.

ავთანდილ ბერიძის ამოსავალი წერტილი სამართლიანობაა: „კანონზე წინ ვაყენებ სამართალს. საკითხის გადაწყვეტისას კანონიერებაზე მეტად იმას შევისწავლი, რამდენად სამართლიანია. მე ყოველთვის მომხრე ვარ, საქმის სამართლიანად გადაწყვეტისა.“

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge